ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის

ტექნოლოგიის სკოლის

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

აკადემიური ჩამორჩენილობის გამო

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი

დამტკიცებულია ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2023 წლის 16 მარტის #48 სხდომის გადაწყვეტილებით

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამით გათვალისწინებულ ერთსა და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის არ/ვერ მოპოვების შემთხვევაში, სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი, აღნიშნული წესი ვრცელდება დანართი #1-ით მოცემულ საბაკალავრო პროგრამებზე და მათ შემადგენელ სავალდებულო კომპონენტებზე **(დანართი N1).**

2. აღნიშნული წესი ძალაში შედის **2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან** და გავრცელდება შემთხვევებზე, რომლებიც დადგება მისი მიღების შემდგომ. წესი მუდმივად განთავსებული იქნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემაში "არგუსი".

3. აღნიშნული წესის თანახმად, სტატუს შეწყვეტილი სტუდენტი ვერ მიიღებს შიდა მობილობაში მონაწილეობას, მას აქვს უფლება ისარგებლოს გარე მობილობით.

4. სემესტრის დასრულების შემდგომ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი ვალდებულია რექტორს წარუდგინოს იმ სტუდენტთა სიები, რომლებიც ექვემდებარებიან ამ წესის მიხედვით სტატუსის შეწყვეტას.

დანართი #1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების მონაცემები, რომელზეც ვრცელდება ამ დოკუმენტში აღწერილი წესი

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის

ტექნოლოგიის სკოლის

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

აკადემიური ჩამორჩენილობის გამო

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრული ბლოკები და სასწავლო კურსები**
კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)	• **თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული -** კალკულუსი I, კალკულუსი II, კალკულუსი III; • **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.**
კომპიუტერული ინჟინერია (საერთაშორისო) (ინგლისურენოვანი)	• **თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული -** კალკულუსი I, კალკულუსი II, კალკულუსი III, შესავალი წრფივ ალგებრაში. • **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.**
ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)	• **თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული -** კალკულუსი I, კალკულუსი II, კალკულუსი III. • **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.**
სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)	• **ზოგადი განათლება -** კონსტრუქციები და კულტურა; • **მათემატიკა, ფიზიკა და ქიმიის სავალდებულო სასწავლო კურსები;** • **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.**
კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)	• **თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული -** კალკულუსი I, კალკულუსი II, კალკულუსი III, შესავალი წრფივ ალგებრაში. • **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.**
არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)	• **თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული -** სახვითი ხელოვნება, შესავალი არქიტექტურაში, არქიტექტურული პროექტირების საფუძვლები. • **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.**
მათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)	• **თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული -** მათემატიკის საფუძვლები, შესავალი მათემატიკურ ანალიზში; • **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.**
თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდულის სხვა სასწავლო კურსებსა და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებში კრედიტის არ/ვერ მოპოვება, მათი ჯერადობის მიუხედავად, არ იწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას.	